

ნიკოლოზ კანდელაკი



ნიკოლოზ კანდელაკი

ოთხმოცი წმინდა სანთელი შუბლს უკიაფებს კანდელად კაცს — ქანდაკების ქართულის კოლოსს —

ნიკოლოზ კანდელაკს.

ვინც ქვაში სითბო ჩადგარა, ქვიდან სიციფე განდგენა, ვინც მარმარილოს სითეთრით ამდენი ღამე ათენა!

ოლიმპიური სიმშვიდე მან მოიტანა აქამდე, აღსარდა მთელი თაობა და მისცა ნიჭსა გზა ფართე. დე: მისი შემოქმედება მარადისობას ჩაბარდეს, — თუ გულით არ გამიხარდეს, მაშინ ეს გული გაქვავდეს!

ბათუ მელია

ნიკოლოზ კანდელაკი

ბავშვთა ჟურნალი

- ალო! ალო! სამკერვალო ფაბრიკა?
- დიას, გისმენთ!
- მაპატიეთ, თუ შეიძლება, მანანა ვიფხვებოთ თხოვით!
- არ შეიძლება!
- რატომ, ბატონო?
- იმიტომ, რომ სახელმწიფო ზარალობს!
- საიდან, თქვენი ჭირიმი?
- საიდან და თქვენი ლაპარაკიდან. რამდენ ხანს გასაუბრებოდა ყოველდღე მანანას?
- თუთმეტი წუთს.
- ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! მანანა ამ პერიოდში 3 მანეთის ღირებულების მზა პროდუქციას ქმნის.
- მერე?
- თვეში რამდენი სამუშაო დღეა?
- სამუშაოდი ოცდახუთი.
- ოცდახუთი გაჯამრავლოთ სამზე სამოცდახუთმეტია. წელიწადში რამდენი თვეა?
- თორმეტი.

— თორმეტჯერ სამოცდახუთმეტი უდრის ცხრაასს. რამდენი წელიწადია, რაც ურჩევია?

— ხუთი.

— ხუთჯერ ცხრაასი ორმოცდახუთი ათასია. გესმის, რამხელა ციფრია?! ეს თანხა შენი მიზეზით დაკარგა ფაბრიკამ. საამქროში ასამდე გასათხოვარი გოგო მყავს. ყველას საჭმომ თუ ასე გვაზარალა, აშენებულა ქვეყანა!

— აბა, რა გქნა, ბატონო, მიყვარს და...

— თუ გიყვარს, მოაწერეთ ხელი, თქვენც გეშველებათ და ჩვენიც; თორემ ციხეში ამოგაყოფინებ თავს!

— ერთი წუთით. მაინც მალაპარაკეთ, მხოლოდ ერთი წუთით!

— თუ ძმა ხარ, შემიშვი!

— მაშინ ის მაინც გადაეცით, რომ პასპორტი წამოიღოს და ხვალ, თორმეტ საათზე, ქორწინების სახლთან მოვიდეს...

ბონდო ბულიაშვილი

მისც არ სჯერა, რომ აღამიანი შეიძლება მეორედ დაიბადოს, ნუღარ გააგრძელებს ამ მოთხრობის კითხვას, ხოლო ვისაც სჯერა, ესე იგი, ვინც უკვე ამ სიტყვებს კითხულობს, ალბათ ეცოდინება, თუ რა ხანმოკლეა ქვეყნად მეორედ მოსახლის ბედნიერება, რადგანაც იგი ზოგჯერ სხვის ხანმოკლე უბედურებაზეა ხოლმე აღმოცენებული.

დიდი სიხარულის პირველი წუთი საამქროს ოსტატ კარპე ხანძარაძეს მაშინ ეწვია, როდესაც გაიგო, რომ პროფკომის თავმჯდომარე, შიო შლანგია, პონკონის გრიპს ისე სწრაფად დაენარცხებინა ორივე ბეჭეზე, ლეიბიდან გაქცევაზე ვერ მოუსწრია და შემოდან კიდევ სამი საბანი წაუხურავს. ფაბრიკის ხელმძღვანელობასაც სწრაფად დაუდგენია — კრება არ გადაიდება! დღევანდელი პროფკომის გადარჩევნებზე შიო შლანგიას მიერ დაწერილ საანგარიშო მოხსენებას მისი მოადგილე, გიჟო ნერგაძე წაიკითხავს.

აი, აქ ემარხა კარპე ხანძარაძის დაფურფლილი გულის ფენიქსისებრი აღდგენის იმედი. სხვა წაიკითხავს მელაძეა შიოს მოხსენებას, სხვა! დარბაზიდან კარპეს ნასროლ გამკილავე, გამანადგურებელ, გამაცამტვერებელ რეპლიკებს შიო ევლარ უპასუხებს! პირველივე რეპლიკით ახასხარებებს დარბაზს კარპე ხანძარაძე. პარველივე რეპლიკით მოსტრის თავს შიოს, მოსტრის და მერე ამურთავებს, ხან პრეზიდენტში გადაუდგებს ფაბრიკის ხელმძღვანელობას, ხან დარბაზს გაუგორებს ფეხებქვეშ, რომ ყველამ თავისი ტალახი წასცხოს: რეპლიკას რეპლიკა მოჰყვება და საბოლოოდ სატაკიანსხარო ბოძზე დაახვევს შიო შლანგიას.

ვის არ დასუსხვია კანი კარპეს ღვარძლიანი შეკითხვისა თუ მელაკულური პასუხისაგან, უკვე მეჩვიდმეტე წელია, ყველა კრებაზე, ყველა თათბირზე ანთხებს თავის გესლან შხამს კარპე, მაგრამ შიო ყოველთვის აცრილი ებძება ბრძოლაში, ამარცხებს და საჯაროდ ამასხარაებს კარპეს. დღეს კი... დღეს შიო არ იქნება კრებაზე. არ იქნება და იქნება კი-ღვი. ეს იშვიათი შემთხვევაა კრებების ისტორიაში, იშვიათი!

ჩვიდმეტი წელია ჩაგრავს შიო კარპეს, სუფთა კი არა, მტკრიანი პაერიც ენახება მისთვის. რამდენჯერაც წააყენა ფაბრიკის ხელმძღვანელობამ კვარტალურ, თუ წლიურ პრემიაზე, იმდენჯერ პროფკომის დადგენილებით წინ აღუდგა შიო შლანგია და პირში ჩალაგა მოკლებული დასტოვა, რამდენჯერაც გამოუყო უფასო საგზური დირექციამ, იმდენჯერ უღარსად ჩათვალა პროფკომის თავმჯდომარემ — წუნდებული საქონლის გამოშვებისა და თავლის ახვევისათვის. ყველას ჰყავს თავის ცხოვრებაში ერთი მთავარი და უბოროტესი მტერი, სულს რომ აძრობს და გაჩენის დღეს აწყველინებს, შიო შლანგია ასეთი მტერი საამქროს ოსტატ კარპე ხანძარაძისათვის. მაგრამ დღეს უნდა გაისრისოს ეს ჯოჯო, მიწაში უნდა ჩაიზილოს ქუსლებით.

კრების თავმჯდომარემ ხელი მალა ასწია: — ამხანაგებო, შიო შლანგიას, იმედი ყველამ იცით, მოულოდნელად პონკონის გრიპი შეეყარა, ორმოცი აქვს საცხე და წუხს. მის საანგარიშო მოხსენებას წაიკითხავს მისივე მოადგილე გიჟო ნერგაძე... ვთხოვთ!

ტრიბუნაზე ტანმომცრო, ხმელ-ხმელი ახალგაზრდა ავიდა და მორცხვად დაიწყო კითხვა, ალბათ ეუხერხულებოდა, რომ სხვის ნაწერში იხედებოდა. კლუბი გაჭედილი იყო. კარპეს საგანგებოდ მესხუთე რიგში დაეკავებინა ადგილი, პირდაპირ ტრიბუნას წინ. ათი წუთის შემდეგ გიჟო ნერგაძე, ანუ შიო შლანგია, გადავიდა ფაბრიკის მუშებისა და ტექნიკოსონალის პრემიალური ხელფასების საკითხზე, ჩამოთვალა ვის, როდის და რამდენი მისცა, ანდა, არ მისცა დირექციამ და პროფკომმა. კარპეც სწორედ ამას ელოდა, წამოხტა სკამიდან და ხმამაღლა დაიძახა:

— საინტერესოა, თვითონ ამხანაგ შიო შლანგიას ვინ მიანიჭა პრემია? თვითონ ხომ არ მიინიჭა? ძალიან ნიჭიერი ყოფილა, თუ ასე...

— „რაც შეეხება, კარპე ხანძარაძის რეპლიკას, — მოულოდნელად წარმოთქვა გიჟო ნერგაძემ ისე, რომ მოხსენებისათვის თვალს არ მოუცილებია, — იმ პრემიით მე, შიო შლანგიამ, კლუბისთვის შევიძინე ხუთი ჭადრაკი, ზუსტად იმდენი, რამდენიც ფაბრიკის პირველობაზე, ყოველი პარტიის წევრების შემდეგ, კედელს შეანარცხა და დალეწა ამხანაგმა კარპე ხანძარაძემ!“

დარბაზმა ასთავიანი დევივით გადირხროსა, წამოდგა და ათასი ხელი ერთად გაიშვირა კარპესკენ.

— ეს პროტოკაცია! — წამოიყვირა ლოყნებგავარგებულმა კარპემ, — რა უფლება აქვს გიჟო ნერგაძეს, შიოს მაგივრად გამცეს პასუხი? ეს პირწავარდნილი ძმობიჭობა!

— ამას შიო სწერს, ამხანაგ კარპე, — და გიჟომ თითი ჩასცხო მოხსენებას — რა შუა-შეა აქ ძმობიჭობა?!

— შეუძლებელია, საიდან იცოდა შიომ, რომ...

გიჟომ მოხსენება კრების თავმჯდომარეს მიუბრუნებინა, შიგ ჩაასხედა, თავმჯდომარემ თავი დაუქნია, და მერე დარბაზს აცნობა:

— ზუსტად ასე სწერია, მწვანით შავზე! — მოხსენება მწვანელენტან რემენგტონზე იყო გადაბეჭდილი.

— ტყუილია, ალბათ ნერგაძემ ამ წუთში ჩაწერა შიგ, მაჩვენეთ, თუ ასე არ არის!

გამეხებულმა კარპემ, თითქოს სადაცაა ვიღაც უნდა წაახრჩოსო, მტკიცე ნაბიჯით გასწია ტრიბუნასკენ, დარბაზი სერიის მოლოდინმა დაადუმა. გიჟო ავანსცენას მიუასლოვდა, დაიხარა და რემენგტონზე გადაბეჭდილი ტექსტი კარპეს აჩვენა, ცივი ოფლით დაინამა კარპე.

— აქ მე საბეჭდი მანქანა არა მაქვს, თან, დედას ვფიცავარ, თუ ბეჭდვა ვიცოდე! — თავი იმართლა გიჟომ.

„უყურე იმ... იმ გაიტყვას. — ფიქრობდა კარპე და თავისი ადგილისკენ მიდიოდა, — მაგრამ ჯერ წინა ყველაფერი, ძმარს ვაღენ ცხვირიდან...“

როდესაც გიჟო ნერგაძე — შიო შლანგიამ, პროფკომის მიერ მუშებისათვის გამოყოფილი უფასო და შელავითანი საგზურები ახსენა, კარპე ხელახლა წამოიჭრა ფეხზე:

— მოგვახსენოს შიომ და, თუ გნებავთ, გიჟომ, რამ ჩაყლაპა ორი საგზური? იყო ცხრა-მეტე, დარჩა ჩვიდმეტი, ორი ვინ ჩაყლაპა? თვითონ ხომ არ წავეიდნე საგზურები დასახვე-ნებლად?

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, გიჟო ნერგაძე დაიბნა, დამნაშავესავით აიწურა, მაგრამ შემთხვევით ისევ ტექსტში ჩარგო თავი, სახე გაუფითრდა და ხმის კანკალით განაგრძო მოხსენების კითხვა:

— „რაც შეეხება ორ საგზურს, რომელიც ამ წუთში კარპე ხანძარაძემ ახსენა, — დარბაზს გაოცების შეგახილი აღმოხდა, — პროფკომმა ისინი თვითონ კარპესთვის და მისი ახ-



— ხუთი წელია მოხსნილი ვარ და ვერაფრით ვერ აღვიდ- ბინა თავი; რომ იქაინან, ქრისტე აღდგაო, შე კაცო, მევ მასწავლე, რომორ მოხსნება!..

თეთრები იწყებენ და კვებენ

გუშინ, ქალაქ თბილისის მახლობლად, რესტორან „სამოთხის“ მცირე დარბაზში შედგა მორიგი შეხვედრა კლიენტებსა და ოფიციატებს შორის.

- თეთრები: კლიენტები. შავები: ოფიციატები. მოგვყავს ლათინური მენიუს ქართული თარგმანი: A — ასეტრინა B — ბატკანი ან ბიტკი C — ცოლიკაური D — დედალი ან დოში E — მკალა F — შილე G — ჯონჯოლი H — ხაში.

თეთრები იწყებენ

ვათამაშდა ძველქართული სუფრა. დღეიუტი ყველასათვის ცნობილი „ზაკუსები“ დაიწყო.

- A — ასეტრინა 8; შავებმა უმაღლე უმაღლეს: A — ასეტრინა 8; B — ბატკანი 8; B — ბატკანი 6; E — მკალა 8; F — მკალა 6; D — დედალი 3...

აქ შეიძლება D — დედალი 3-ის მაგივრად ეთამაშათ D — დოში 4; მაგრამ თეთრებმა მცირე ანალიზის შემდეგ გადაწყვიტეს D — დედალი 8, რადგანაც D — დოში 4 დიდ მატერიალურ ზარალს მოუტანდა. იყო სხვა ვარიანტიც — მატერიალურად მომგებიანი სვლა — E — მკალა 4; მაგრამ ეს სვლა არაპრაქტიკულად იქნა მიჩნეული, ვინაიდან თეთრები პირდაპირ სამსახურიდან მოდიოდნენ მშვიტები.

აქ შავები ერთი საათითა და ათი წუთით ჩაფიქრდნენ. როცა თეთრების დაბალი ლიღინი ხმა- მაღალ გინებაში გადავიდა, შავებმა გააკეთეს სვლა: C — ცოლიკაური 6. ღვინის გამოჩენამ გამოცოცხლება შეიტანა თეთრების განლაგებაში და მათ C — ცოლიკაური 6-ის საპასუხოდ მოძებნეს სვლა F — შილე 4. საშინაო ანალიზით გამოირკვა, რომ ეს სვლა არც ისე გონებადამსვილური იყო, როგორც თეთრებს ეგონათ. თეთრების ამ სვლით შავებმა გარკვეული უპირატესობა მიიღეს სუფრის ტენტში და გაიყიხნენ ხორცი — F — შილე 4 ადვილად გაცვალეს A — ასეტრინა 8-ში, რომელიც სამზარეულისაკენ გააქანეს. სუფრიდან გაქრა D — დედალი 8-ის მორჩენილი ნაჭრებიც.

იგრძნეს 'რა მოახლოებული საშიშროება, თეთრებმა ტემპის მოგებისა და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას მიზნად უმაღლესე გააკეთეს 'როგორც ცოლიკაური 4, ე. ი. ოთხი ცარიელი ბოთლი აიღეს მაგიდის მარცხენა კუთხიდან და დადგეს იატაკზე, მაგიდის მარჯვენა ფენთან.

შავებმა მყისვე შეაფასეს შექმნილი პოზიცია და გააკეთეს სვლა C — ცოლიკაური 8. ოთხ ცარიელ ბოთლის გვერდით მიუწყვეს მეზობელი სუფრიდან აღებული 8 ცარიელი ბოთლი, რითაც გააორეს თეთრების ბოთლები. ამ მომენტისათვის გაორებულ ბოთლებს თეთრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, რადგანაც ყველაფერი გაორებული აღ ეჩვენებოდათ. შავები ბევრს მანევრირებდნენ სუფრის გარშემო, პოზიცია მტკიცედ რომ შეენარჩუნებინათ. თეთრებს, დაკარგული ინიციატივის დასაბრუნებლად, აღარაფერი დარჩენოდათ B — ბატკანი 4-ის გარდა. რითაც სუფრა გადაიყვანეს ბატკანის დაბოლოებაში. შავებმა, თანხის მოგების მიზნით; B — ბატკანი 4-ის მაგივრად მოიტანეს B — ბიტკი 4 და სუფრის სრული ბატონ-პატრონი გახდნენ.

მოახლოებულ ცაიტონტში თეთრებმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს, შეწირეს ერთი ხშირად გამსვლელი სუფრის წყარო, რომელიც აღარ დაბრუნებულა.

როცა გამსვლელი სუფრის წყარები გახშირდნენ, თეთრების სუფრაზე დარჩა მხოლოდ თამადა და კიდევ ერთი მოჭედი, რომელსაც თავი ჩამოუყარდა, და ჩაედინა. შავებმა რესტორნის ყველა გასასვლელი საიმიდოდ ჩაჰკეტეს.

თეთრების თამადა ცაიტონტში აღმოჩნდა: თუ არ იჩქარებდა გაპარვას, თბილისამდე ფეხით წასვლა არ აცდებოდა.

შავებმა ჩაიწერეს საბოლოო სვლა — 88 მანეთი და 88 კაპიკი. ბევრი მანევრირების შემდეგ თეთრების თამადა გამოძენა რესტორნიდან გასასვლელი „ჩორნი ხოლი“, მაგრამ, მისლა საუბედუროდ, ეს „ხოლიც“ შავებს საიმედოდ ჩაეკეტათ.

თეთრები აღნაგდნენ. გთავაზობთ ამ სუფრის დაბოლოებას.

გიგლა ფირცხალავა


8x8 board with numbers 1-8 on the left and letters A-H at the bottom. Contains icons of wine bottles, glasses, and plates.

ლანდელი, მესამე ცოლისათვის გადაინახა, იმ შემთხვევისათვის, თუ კარზე გეგმას შეასრულებდა, მაგრამ რადგან ეს ასე არ მოხდა, საგზურები რომ არ გაუქმებულიყო, ჩვენ ისინი კარპეს პირველსა და მეორე ცოლს ვაფუგზავნი, როგორც მრავალმედიანებს...“

„მანც დიდი ძალა აქვს ჩვენს დროში რეპლიკებს, — ფიქრობდა კარპე და საამოდ იწვიდა ლაერთაშორისო ვაგონის კუბეში, — კიდევ კარგი, აჰა იყო ის ოჯახური!“



ნ.პ. ლოლუსანი



— რა შენა? მანქანა მერსად ვერ გპროცხე და აგანოში მიიყვას!

ამ ცნობარით, ვათავისუფლებთ რა მის მფლობელს შედგენილ გარჯისაგან (და არა — ხარჯისაგან), საშუალებას ვაძლევთ, დაწოგოს დრო და თავი თბილისის ტრანსპორტით მგზავრობის დროს.

ჭერ ვიპასუხებთ კითხვაზე — რატომ არის თბილისში „ბეზრამერნი“ ავტობუსები? იმიტომ, რომ კონდუქტორებს აქვთ „ბეზრამერნი“ ჯიბეები.

ნუ ჰკითხავთ დისპეტჩერს, როდის გავა ავტობუსი. ცივად ვიპასუხებთ, როგორც მოვა, ისე გავაო. ამიტომ მის ცივ პასუხს ჩვენ გულთბილი რჩევა არჩიეთ და დროს ნუ დაჰკარგავთ ჩხუბში!

მოქალაქენო! ნუ დახარჯავთ დროს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ტრანსპორტით მოსახვედრად, ან იქიდან დასაბრუნებლად. იარეთ მარშრუტით: რუსთაველის მოედანი — ფუნქიკული — კუსტბა — წყნეთი — ბაგები — „ლოკომოტივი“!

ჩამოსულთათვის:

თქვენს კითხვაზე, თუ რატომ არ აცხადებს კონდუქტორი გაჩერებათა სახელებს, პასუხს ვერ ეღიროსებით, ამიტომ დაუჭერეთ ჩვენს ცნობარს და ასეთ კითხვას ნუ დასვამთ, რადგან ასეთი კითხვის დასმა შეიძლება ძვირად დაგვისვან.

მგზავრთა მხრივ იყო ასეთი უხეშობის შემთხვევები: კონდუქტორს, რომელმაც ბილეთი მისცა მგზავრს, მადლობა არ გადაუხადეს. მას შემდეგ, ამ უზრდელობით გულნატკენი, იგი აღარავის აძლევდა ბილეთს მთელ ამ სახიფათო რეისზე.

გარდა შემოჩამოვლილისა, გირჩევთ — არამც და არამც არ გაუმხილოთ ტაქსის მძღოლს, სად მიდიხართ! სულ ერთია, საჭირო მიმართულებით მაინც არ წაგიყვანთ, ან შეიძლება წაგიყვანოთ, ვთქვათ, „შემელიდან“ „ვერაზე“, ოღონდ „კუკიის“ გავლით.

თბილისის მეტროპოლიტენით სარგებლობის დროს აკრძალულია:

ესკალატორზე დაჯდომა, დაწოლა, ბარგის დადება, სუფრის გაშლა და ომანიანი სიმღერა, რადგან რეზონანსმა შეიძლება ბათქაშის ჩამოცვენა გამოიწვიოს.

ქალაქის ტრანსპორტში აკრძალულია: ცივი იარაღის (დანის, ფიწლის, ხერხის, ცელის, მაკრატილის), ცხელი იარაღის (ზარბაზნის, „ბერდანის“), აგრეთვე ფეთქებადი საშუალებების („ლიმონკის“, დინამიტის, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის, გაფუჭებული კონსერვისა და ნიტროგლიცერინის) შეტანა!

აკრძალულია ნელ-თბილი იარაღის — მუშტის გამოყენებაც!

აკრძალულია მეტროპოლიტენში მგზავრობა მთვრალ მდგომარეობაში!

გამონაკლისია შემთხვევა, როცა მთვრალებს განგებ უშვებენ, იქნებ კისერი მოიტეხონო.

მხიარულ მგზავრობას ვისურვებთ, მეგობრებო!

გეჟან ცირმაქია



(„მერანის“ მოტივზე)


მტანჯავს, დამათრევს უგზო-უკვლოდ ჩემი შოფერი, უკან კვლავ მოგვსტვენს მილიციის თანამშრომელი... დადექ, შოფერო, შენ ნასვამო, სულ ნუ გაგიჟდი, ავტოინსპექტორს მიეც „პრაგა“ — ფულით ნაყიდი!

გაურბი „გაის“, მაძახებ „გაის“, გარდამატარე კლდენი და ღრენი... და შემომოკლე ცინცხალ მანქანას, რაღაც ორ თვეში, სავალნი დღენი. აღარ მარიდებ, გულქვა პატრონო, არცა სიცხესა, არცა აუღარსა, იმას რა ვუთხრა, საქმენი შენნი პროკურატურას ვინც არ გადასცა!

ხუთა წელია, მოვაკლდი რემონტს, ვენდე გაცვეთილ ოთხ საბურავსა, ვინ დათვლის ქვეყნად ქონებას შენსას და შემოსავალს შენსა ფულადსა? ტყუილად როდი გეძახის ხალხი, შოფერო ჩემო, უხეშს, ფუქსავატს? საკომისო მაღაზიაში რომ გავიყიდი, მე ყაბულსა ვარ!

ბათუ მელია

ნ.პ. აბაშიძისა



უსიტყვოდ.

რქინა მარცო



ნ.ხ. ბ. ზუმბაუნიძისა

ზაქარსანა ჯანა

ნაკლს ვერ უპოვებით მამუკას, ნურც შეეცდებით ნურასდროს. თუმც ქუდს არ ხმარობს, ძალუდს თქვას: ნამუსის ქუდი მხურავსო. არ ვაქო, განა ვცხონდები? გერც ლექსი ჰპოვებს გასავალს, მიტომ ვწერ მისი ცხოვრების ერთი დღის თავგადასავალს:

დილით კვილიშა დააფრთხო, უცა სარკმელს და გაშეშდა: ქალი, რომელსაც ქმარი სცემს, მეზობლებს უხმობს საშველად. როდი დაიბნა მამუკა, მან თავი გვერდზე გასწია... სხვის სახლში ჭვრეტა არ უყვარს, პატიოსანი კაცია.

სამსახურში რომ წავიდა, წინ შეხვდა ვინმე არჩილი. მამუკა იცნობს ამ „წმინდანს“, ქორვაჭარია გაქნილი. ჯერ მოეხვია ძმასავით, მერე კი ზიზღით გაცილდა, რა ჰქნას, სძულს კაცის დასმენა, პატიოსანი კაცია...

მოსუც ქალს კარაქს აწონებს ნოქარი, მხრებმოსაწონი, ორას გრამ კარაქს სასწორზე ასგრამიან თითს აწონის. ამის მნახველმა მამუკამ დუმილით გავლა არჩია; „ინტრიგანობა“ არ უყვარს, პატიოსანი კაცია...

ტროლეიბუსში ჭეჭყვავა, არის ჭყლეტა და კიდილი. ყაბალახიან „ჩამოსულს“ ჯიბეს უქექავს ჯიბგირი. ცხვირის წინ მდგარი მამუკა თვალეში უცქერს ამ ციგანს, მაგრამ ხმას ვერ ამოიღებს, პატიოსანი კაცია...

ტრესტში თათბირი გამართეს, (ფული გაფლანგა უშანგიმ) კაცი არავინ ამართლებს, დაჰგემს უღირსი მუშაკი. მარტო მამუკა ყოყმანობს, არც ამას ამბობს, არც იმას... ენას კბილს აჭერს, დუმდება, პატიოსანი კაცია...

ეტრფის ცხოვრებას სანუკვარს, დარდი არა აქვს პაწიაც. მითხარით: კაცი ასეთა პატიოსანი კაცია?

— ამ მაღაზიაში ახალი დირექტორი დაუნდნავთ; ნებავ, როგორია?
— რაც მაღაზია, ისაა დირექტორის — ნე რიბა, ნე მისასო!

გვითხვალაბი გვატყობინაბენ

მინაბაბი მახალითი

მძღოლმთი. ამას წინათ, მძღოლეთელმა ტაქსის მძღოლმა ტ. ძღოლია შვილიშა თავის ტაქსში იპოვნა დედამისის საფულე, რომელშიც სამი მანეთი ფული და ჯვრისწერის ბეჭედი (კალცო) აღმოჩნდა. ძღოლიაშვილმა საღამოს მოძებნა საკუთარი დედა და პირადად გადასცა მას საფულე. დედამისს სიხარულისაგან გული წაუვიდა, ხოლო მადლიერმა სოფელმა მძღოლი ძღოლიაშვილი სასტიკი მადლობითა და მამაკაცის მჯარს ოქროს საათით დააჯილდოვა. აი, ასე იქცევიან მოწინავე მძღოლეთელი მძღოლები!

ბ. მოტორაბა, ვ. ბაქსიაშვილი.

კომპიანი. კარგი ინიციატივა გამოიჩინეს კომპიანის ოთხწლიანი სკოლის ოქტომბრელეზმა: ახალაშენებული, ორსართულიანი რესტორნის გვერდით, ძველთაძველ საყდარში, საზოგადოებრივ საწყისზე შექმნეს სასკოლო ბიბლიოთეკა. ნორჩებმა თაროები და წიგნები თავიანთი სახლებიდან მოიტანეს. წიგნთა რაოდენობა დღეისათვის ორასშვიდს აღემატება.

ბიბლიოთეკის საჯარო გახსნის დღეს სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ბავშვებს აღუთქვა, რომ შეიდამდე წიგნს, რომელიც მის ოჯახს აღარ სჭირდება, შესწირავს ახალ ბიბლიოთეკას, რის შემდეგ წიგნთა რაოდენობა ერთთორად გაიზრდებაო.

დ. წიგნაბა.

ტყემლიანი. კარგი კი არა, პირდაპირ დიდებული საჩუქარი მიიღეს რაიონის მშრომელეზმა: რაიცენტრში აშენდა ოთხი რესტორანი და შვიდი კაფე-პავილიონი. ოთხივე რესტორანი ნაგებია ბოლნისის ტყფით. ფოთეში, ეკლარის ქვაზე, ამოტვიფრულა უკვდავი მწერლის სიტყვები: „რასაცა შეჭამ შენიცა, რას არა, და კარ გული ა!“

კიდევ უფრო გადასარეგ საჩუქარს ამზადებენ რაიხელმძღვანელობის რაიმშრომელეზი: თორმეტი ივლისისათვის აქ გადაეცემა თხუთმეტი ახალი სახიკლე, თერთმეტი საშუაადე, ორი სახარჩო, ერთი სალობი და ცამეტი სასოსისე (საწყვების დირექტორი — სოსო სისოს ძე სოსოსიძე).

თითქმის დამთავრებულია და მალე ექსპლუატაციაში შევა ახალი სამსართულიანი ბარი — „ბრაზილია“.

რაიასწყვების ეს უკვდავი ძეგლები მოემსახურებიან ყველა მშრომელს, ვინც კი შიგ შევა.

მ. ბარხალაბა, შ. ფარცხალაბა, დ. ფურცხვანიძე.



ნ.ხ. ბ. ფირცხალაბასი

— რომ მუშაბი, შვანილი გაითავდაო, აბა, მებ ტი-მარაში რა გაქვს?
— აქ ფულია, ფულიო!..



მთავარი რედაქტორის მოადგილე გიორგი ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: ნ. ლუმაბაძე (მთავარი რედაქტორი) შ. გოლამაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალონი, ნ. შვილიძე, ო. ზელიძე.

საბიროსა და იუმორის შურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პარკის № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ტიშ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. პრ. ცკ-ის განმცხადებლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცვა ასაწყობად 13/IV-69 წ. ხელმოწერილია დასაბამად 2/VI-69 წ. ძალადის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაბამდი ფურცელი 1, ჰირობითი ნაბამდი ფურცელი 1,4. საბ. პრ. ცკ-ის განმცხადებლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შეგ. № 1469. შე № 02146. ტირაჟი 112.000.




გაიოზ შავერვაშვილი
КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

სიცილის მსოფლიო ეპიდემიას იწვევს ვირუსი, რომელიც ოკეანის გაღმობიდან მოდის.
 იქ, ყოველწლიურად, სიცილით იზოცება მოსახლეობის დიდი ნაწილი. ან როგორ არ მოკვდები კაცი სიცილით, როცა ასეთ ამბებს გაიგებ:

შეზღილი.

ამერიკელმა კომპოზიტორმა ჯონ კეიჯმა შეთხზა ახალი მუსიკალური კომპოზიცია — „დუმბილის სონატა“. სონატა შემდეგნაირად სრულდება: კომპოზიტორი სამჯერ აწევს და დახურავს პიანინოს სახურავს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესრულდა ნაწარმოების სამივე ნაწილი.




ნ. ს. ბ. ლომიძისა

შეზღილი,

შეზღილი

ნიურნბერგის გაზეთში დაიბეჭდა განცხადება, სადაც ერთი ავადმყოფი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, პყიდა საკმაოდ ხელსაყრელ ფასებში ახალი მუხის... კუბოს.



მსოფლიო!

მალაპის ნახევარკუნძულის მცხოვრებლები ღუელს შემდეგი წესით მართავენ: ფარშავანგის ფრთით შეიარაღებული მოწინააღმდეგენი ერთმანეთს იმდენ ხანს უღიბნებენ, სანამ სიცილი არ წასკდებათ. ვინც პირველად დაიწევს ღიბინისაგან სიცილს, იგი ითვლება დამარცხებულად, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

